MAIL OUT | სს პაშა ბანკი საქართველო
გასული წერილები
JSC PASHA BANK GEORGIA
№ 3776 / 20.07.2015 წ.

PASHA Bank
New heights. Together.

20 ივლისი, 2015 წელი
ქ. თბილისი, საქართველო

საავანსო გადახდის საბანკო გარანტია #ADPB0016/15

გარანტი: სს "პაშა ბანკი საქართველო" (ს.კ. 404433671)
გარანტის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #15
პრინციპალი: შპს ალტა (ს.კ. 211380691)
პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ., №5
ბენეფიციარი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
საგარანტიო თანხა და ვალუტა: 727,881 (შვიდასოცდაშვიდი ათას რვაასოთხმოცდაერთი) ლარი
საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 01 ოქტომბერი

გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ 2015 წლის 15 ივლისს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №32050102/02/137 (შემდგომში "ხელშეკრულება"), საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის (ორგანიზაციის კოდი: 32050102) ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის წარჩინებული მოსწავლეებისთვის საჭირო 1,918 (ერთი ათას ცხრაასთვრამეტი) ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (შემდგომში სტანდარტული ლეპტოპი) შესყიდვაზე (CPV-30213100) (შემდგომში "სამუშაოები"). ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება არის 1,455,762 (ერთი მილიონ ოთხასორმოცდათხუთმეტი ათას შვიდასსამოცდაორი) ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 100% (ასი პროცენტი) ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი წარუდგენს ბენეფიციარს საბანკო გარანტიას 727,881 (შვიდასოცდაშვიდი ათას რვაასოთხმოცდაერთი) ლარზე.

JSC PASHA Bank
15, Rustaveli Avenue,
Tbilisi, 0108, Georgia
tel.: (+995) 322 265 000
office@pashabank.ge
www.pashabank.ge

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულების პირობების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით, სს "პაშა ბანკი საქართველო" კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას, ბენეფიციარის პირველი წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას ნებისმიერი თანხა ან თანხები 727,881 (შვიდასოცდაშვიდი ათას რვაასოთხმოცდაერთი) ლარის ფარგლებში.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაში შედის ბენეფიციარის დავალებით სს „პაშა ბანკი საქართველოში" პრინციპალის #GE10PB1034120000300001 ანგარიშზე ავანსის 1,455,762 (ერთი მილიონ ოთხასორმოცდათხუთმეტი ათას შვიდასსამოცდაორი) ლარის ჩარიცხვისთანავე.

წინამდებარე საბანკო გარანტია მოქმედებს 2015 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით. შესაბამისად ბენეფიციარის ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს აღნიშნული თარიღისა შემდეგ მისამართზე: სს "პაშა ბანკი საქართველო", რუსთაველის გამზირი #15, ქ. თბილისი 0108, საქართველო,, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა ანაზღაურებაზე დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და ის გარემოება რომლის გამოც მოხდება მოთხოვნის წარმოდგენა.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:
ა) საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
ბ) ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი ფორმით უარის თქმით და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისთვის დაბრუნებით.
გ) გარანტის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ბენეფიციარისათვის სრულად გადახდით;

პატივისცემით,

ალექსანდრე უთმელიძე
ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსი

JSC PASHA BANK GEORGIA 404433671